ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 22 აპრილი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 22 აპრილი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 96 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 96

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ქართული წარმოდგენა

არტისტიულ საზოგადოების თეატრში

ხუთშაბათს, 22 აპრილს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან ვალ. გუნიას მიერ წარმოდგენილი იქმნება

სცენის მოყვარეთა დახმარებით

ღალატი

დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. თ. სუმბათიშვილისა, თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რომანიშვილისა, კარგარეთელი, თარხნიშვილი, დავითაშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. გუნია, ი. ზურაბიშვილი, ა. ყანჩელი, გ. გედევანოვი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, მჭედლიშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ბილეთები იყიდება არტისტიულ საზოგადოების კასაში.

რეჟისორი ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი.

1—უ—1

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის

ქალთა კომიტეტის

მიერ დამზადებულია საცვლები და საწოლის საჭიროებანი სამხედრო მოქმედების ადგილებში **ძსენოლთა და საავადმყოფო** საჭიროებისათვის 25 ოფიცრისა და 109 ჯარის კაცისათვის.

აღნიშნულ ნივთების დათვალიერება შეიძლება ხუთშაბათს 22 და პარასკევს, 23 აპრილს, დღისით 10—5 საათამდის, კომიტეტის სამკერვალოში გრიბოედოვის ქუჩაზედ თ-დ ქობულაშვილის სახლში.

2—6—1

იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—5)



ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

დარჩება კვირამდე.

ხუთშაბათს, 22 აპრილს,

დანიშნულია კავკასიური

ჭიდაობა

სამი ჭიდაობა იქმნება ერთს საღამოს

ამ უკანასკნელ ოთხის დღისათვის მოწვეულია განთქმული, პირველად ტფილისში ზანგი (ნეგრი) სინგელეცი კუნძულ ცეილონიდან, **მისტერ რანნი**; წაიკითხეთ აფიშა. სხვათა შორის მეორე განყოფილებაში იქმნება ქართული ჭიდაობა—იჭიდავებს უძლეველი მოჭიდავე **კ. მაისურაძე რუსიშვილი**, ჯილდო 50 მ., მე-2 ჭიდაობა **ცერაძე** და თელაველი **არტემ ხანგულოვი**, ჯილდო 25 მან. ბოლოს კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზედ. (1—104—1)

ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ფასი 1 მან.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

თავმჯდომარე

გორის საპედაგოგიო საბჭოსი ანასტასიის ქალთა პროგიმნაზიისა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **გამოსაცდელი ეგზამენიები** მისაღებად, როგორც მოსამზადებელ კლასში, აგრეთვე 6 ძირითად კლასებში, დანიშნულია 20 ამა მაისიდგან.

(3—უ—2).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 163 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—2)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.**

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს"

საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და ცოცხალი სურათები. დასასრულ

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და ქნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—14)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

გ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

საფრანგეთის უმადურობა.—იაპონიის სამხედრო გემები.—წვრილი ცნობები.

ეხლა კი ბეჯითად ითქმის, რომ ინგლის-საფრანგეთის დაახლოვებამ რუსეთის მწერლობა აღტაცებაში არ მოიყვანაო,—ამბობს «ნოვ. ვრემია».

ჩვენის მწერლობის უმეტესობამ რაღაც ცივი ნიავი იგრძნო, ინგლის-საფრანგეთის ერთობისაგან მონაბერი... ორი-სამი გაზეთი თუ უკრავს ტაშს და ისიც გაუბედაობით: ზოგს ჰგონია, მალე იქნება აღდგენილი საფრანგეთის ახალ მეგობრის კეთილ-სურვილით და ენერგიულის დახმარებით დარღვეული მშვიდობა; სხვებს კი უხარიანთ, რომ ინგლის-საფრანგეთის დაახლოვებით გერმანია განცალკევებულად დარჩება და რუსეთისათვის ხომ გერმანიის შესუსტება სასარგებლო უნდა იყოსო.

საფრანგეთის მწერლობა, სამინისტრო სფერასთან უფრო დაახლოვებული, დღესაც კვალად გვარწმუნებს, რომ მისგან მოწონებული ინგლის-საფრანგეთის მორიგება რუსეთის ინტერესებს ყოველნაირად ეთანხმებაო. ამის დასამტკიცებლად უფრო იმას გვიწუებენ, რომ რუსეთის დიპლომატიამ წინადვე იცოდა შინაარსი ინგლის-საფრანგეთის მორიგებისა და არავითარი უკმაყოფილება არ გამოაცხადაო. ჩვენ ამის გამო ვერას ვიტყვით, რადგან ჩვენის დიპლომატების განძრახვა და მოსაზრება არ ვიცით. ხოლო თუ ჩვენ ვსცდებით და საგანი რიგიანად ვერ გაგვირჩევია, გვონებთ, მეტი არ იქმნებოდა, საფრანგეთის მწერლობას ჩვენთვის თვალი აეხილებინა და ნათლად დაენახვებინა, რომელ ჩვენს ინტერესებს უფრო ხელს უწყობს ინგლის-საფრანგეთის მორიგება...

სწორედ საუცხოვო ჩვენთვის ეს ამბავი, მეტადრე თუ გავიხსენეთ, რომ იმ დროს, როდესაც შორეულ აღმოსავლეთში ომი დაიწყო, ერთსა და იმავე დროს ინგლისის მთავრობამ განუცხადა პარლამენტს, ინგლისი შეასრულებს თავის საკავშირო ვალდებულობას იაპონიისადმი, და საფრანგეთის პარლამენტის ერთის დასის წარმომადგენელმა და ბ-ნ კომბის მეგობარმა, დეპუტატმა ჟორესმა წარმოსთქვა, საფრანგეთისათვის რუსეთის კავშირი სრულიად გამოუსადეგარიაო...

ინგლის-საფრანგეთის მორიგება იაპონიისთვის ყოფილა გასახარი და ეს გამოცხადდა კიდეც.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ინგლისს და საფრანგეთს პირობა მიუციათ ერთმანერთისთვის, ვინიცობაა ჩინეთი ჩაერიოს რუსეთ-იაპონიის ომში, არც ერთმა მათგანმა ხელი არ გამოიღოს,—ინგლისმა იაპონიის სასარგებლოდ და საფრანგეთმა—რუსეთისა. ჩინეთმა თუ ნეიტრალიტეტი დაარღვია, შეუძლებელია, რომ რუსეთს მიემხროს. მაშასადამე ეს მუხლი ინგლის-საფრანგეთის მორიგებისა იაპონიას ხელს უხსნის და საშუალებას აძლევს თავის სურვილისამებრ იმოქმედოს ჩინეთში. თუ რომ ჩინეთი ჯერ აშკარად არ ჩარეულა ომში, ეს ინგლის-საფრანგეთის წყალობა არ უნდა იყოს. იაპონიას ჯერ გადაწყვეტით არა უთქვამს რა ამ

სახებ და იქმნება სთქვას მაშინ, როდესაც დარწმუნდება, რომ რუსეთი განაწყენებული დარჩება, რაც უნდა მოხდეს“.

იმ მითქმა-მოთქმის გამო, ვითომც ინგლის-საფრანგეთის მორიგებას შესაძლოა რუსეთ-ინგლისის დაახლოვება მოჰყვეს, „ნოვ ვრემია“ ამბობს:

ინგლისელები უოველთვის უმადურები იყვნენ მაშინაც კი, როდესაც ჩვენ მათთან ერთად ვმოქმედებდით. ეს არ უნდა დავივიწყოთ და მარად გათვალისწინებული უნდა გვქონდეს. ეხლანდელ ინგლისელებს მამა-პაპათაგან ანდერძად მიუღიათ და დედის ძუძუსთან შეუწოვნიათ გრძნობა განუსაზღვრელის სიძულვილისა რუსეთისადმი და მტკიცედ გასჯდომიათ აზრი, რომ რუსეთი დაუძინებელი მტერია ინგლისისა. თუ რომ ინგლისის მთავრობაში შემთხვევითა და დროებით გაუღვიძნია რუსეთთან დაახლოვების სურვილს, ეს გრძნობა უფრო სუსტი უნდა იყოს, ვიდრე საერთოდ ინგლისელების მძულვარება რუსეთისადმი და ამ ნიადაგზედ იმედების დამყარება იმას ეგვანება, რომ ქვიშაზედ ავაგოთ სასახლე. ვიდრე რამდენიმე ახალთაობა არ ადიზრდება და მათში რუსეთისადმი მძულვარება თანაგრძნობად არ გარდაიქცევა, მანამდე ინგლისის პოლიტიკა ერის გრძნობას უნდა ემორჩილებოდეს. ამისათვის რუსეთისა და ინგლისის დაახლოვებაზე ჩვენმა შვილიშვილებმა ილაპარაკონ. მაინც და მაინც ამისთანა დაახლოვებაზე ჩვენ არ შეგვშვენის ვფიქროთ. ეს იმის ნიშანი იქმნებოდა, რომ დავიწყებას მივცეთ მთლად ის ბოროტება და აღუნუსხველი ვნება, რაც ჩვენ წარსულ საუკუნეში ინგლისმა გვაგემა და მოგვაყენა და რასაც ჩვენ ყველგანა ვხედავთ და ვგრძნობთ, სადაც-კი ჩვენს საქმეებს ინგლისმა ხელი დააკარა. ესე რომ თავი დავიმდაბლოთ და საწყნარით შენდობა მოვთხოვოთ ჩვენს მუდმივს მტერს, განა დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თავმდაბლობა ინგლისის ამაყობას უფრო არ გააზვიადებს? ჯერ ეხლაც, მოჰკრეს თუ არა ყური იმ ამბავს, ვითომც შესაძლო იყოს რუსეთ-ინგლისის მორიგება, ინგლისელები აჩქარებით აცხადებენ, რატომ, შეგვიძლიან მოვურიგდეთ, თუ რომ ნებაყოფლობით დასთმობენ და არაოდეს აღარ ეცდებიან გზა გაიკვლიონ დიდს ოკეანესა და სპარსეთის ყურესკენო, და შავის ზღვიდგან რომ გასავალი გვქონდეს, ინგლისელების ხელით დახშული, ხმასაც არ ამოიღებენ. მაშასადამე, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს რუსეთ-ინგლისის დაახლოვებაზე ვიოცნებოთ.

«დეილი მალს» ნიუ-იორკიდგან ატყობინებენ, იაპონელებმა რამდენიმე წყალში მავალი ნავ-გემი შეიძინესო. ერთს მათგანს, რომელიც კაპიტან ლეკისაგან უყიდნიათ, წყალში გადებულ სატელეგრაფო ქაბელისა და ყუმბარების მსროლელი მანქანებიცა აქვს. ამას გარდა, ნავს ვითომ ეტლის თვლებიცა აქვს მიბმული, რომ ზღვის ძირზედ იაროს, როგორც ავტომობილი დადის ხმელეთზე. წყალზე ნავს გაზი ამოძრავებს, წყალში კი ელექტრონი. (ბ. ვ.).

—

ნიუ-იორკის გაზეთები იუწყებიან, იაპონიამ ორი ჯავშნიანი გემი შეუკვეთა მაქსიმისა და ამსტრენგის ქარხნებს ინგლისში. ეს გემები საგანგებო რამ იქნებიან, რომლის მზგავსი არც ერთს ევროპის სახელმწიფოს არა აქვს. სიგრძე ექმნება 445 ფუტი, ინგლისის უდიდეს ჯავშნიან გემებზე 10 ფუტით გრძელი. სიგანე კი მხოლოდ 78 ფუტი ექნება იმ განზრახვით, რომ ვიწრო ნავთ-სადგურებში შეყვანა და შეკეთება შეიძლებოდეს. სიღრმე ექმნება 26 ფუტი და შიგ ჩაეტევა 16,400 ტონი. გემი გაივლის 33 ვერსს საათში. გემზე იქმნება ოთხი 12-იანი, ოთხი 10-იანი და ექვსი 6 დიუმიანი ზარბაზანი, გარს 9-დიუმიანი ჯავშანი ექმნება შემორტყმული. (ნ. ვ.).

—

იაპონელებს მრავალი აგენტები ჰყავთ ჩინეთსა და მონგოლიაში, რომლებიც ატყობინებენ იაპონელებს, რასაც რუსები სჩადიან ან სად რასა ყიდულობენ, მეტადრე ცხენების შესახებ. იაპონელების აფიცრები, ჩინეთელების ტანთსაცმლით მოსილნი, ხუნხუზების ბრბოებს აგროვებენ და ციმბირის რკინის გზის გაფუჭებასა სცდილობენ. (პ. ვ.).

—

ჩინეთის მხცოვანი იმპერატრიცა, როგორც ნამდვილად ირწმუნებიან, მალე პეკინს მიატოვებს და სინანფუს გადავა საცხოვრებლად, სადაც დიდის ფაცაფუცით უმზადებენ და უწყობენ სასახლეს. უცხო სახელმწიფოების ელჩები ამ ამბავმა მეტად ააღელვა, რადგან ცუდს შედეგს მოელიან. (რ. ვ.).

—

ერთს წარჩინებულ იაპონელს, როგორც ეტყობა, პარიჟელ ელჩს, უბაასნია «ბერლ. ტაგ.» კორესპონდენტთან და, სხვათა შორის, უთქვამს იაპონელთა მობილიზაციის შესახებ: იაპონელებმა ყოველივე რიგზედ მოაწყვეს, რაც კი კაცთა ხელთ არის, ხოლო ევროპამ არ იცის, რამდენ ნაირი დაბრკოლება აქვს წინ ჯარის შეკრებასა და გალაშქრებას. ამას გარდა, იაპონელებმა სურსათისათვის უნდა იზრუნონ, რადგან იმ ადგილებში, სადაც ომი მოხდება, ვერც ერთი მხარე სამყოფ სურსათს ვერ იშოვნის. უმთავრესი შეტაკება მოპირდაპირეთა ჯარებს მანჯურიაში მოუხდებათ, ანუ ლიაო-დუნის ნახევარ-კუნძულზედ. ამისათვის ყოვლად უსაფუძვლოა ის მითქმა—მოთქმა, ვითომც იაპონელები მდინარე იალუს ნაპირს გაამაგრებენ და გაჩერდებიან. ბალტიის ფლოტის გაგზავნა შეუძლებელიაო, უთქვამს დიპლომატს, რადგან ესკადრა გზაზედ ქვა-ნახშირს ვერიშოვნისო. პორტ-არტურის აღება ზღვიდან შეუძლებელიაო. (რ. ვ.).

ტოკიოდგან იტყობინებიან, რომ რუსებმა სურსათის მომეტებული ნაწილი პორტ-არტურიდგან ფინ-ხუან-ჩენს გაგზავნესო. გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა ბრძანება გასცა, რომ პორტ არტურის სამხედრო გემები მუდამ თავ-თავის ადგილს იდგნენ და ცოტას ხანსაც კი არ შორდებოდნენო.. ნაღმოსნებს დავალებული აქვს ნავთ-სადგურის შესავალს დღე და ღამ მორიგობით უდარაჯონ და ყოველთვის იქ ორი ნაღმოსანი დარაჯობსო.

ტფილისი

⁂ პარასკევს, 23 აპრილს, ტფილისის სახაზინო თეატრში დანიშნულია კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალია გადადებული იქმნება რუსეთის წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

⁂ შაბათს, 24 აპრილს, კრება ექმნებათ ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულთ.

⁂ შაბათს ტფილისის სასამართლო პალატა განიხილავს საქმეს დანელიასას, რომელსაც კომერსანტ ერვიეს მოკვლა ჰბრალდება.

⁂ დღეს, 22 აპრილს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში საზოგადო კრება ექმნება კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობას. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საზოგადოების ახალ წესდებას, რომელიც უკვე დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

⁂ სავაჭრო სასწავლებლების ზედამხედველთა კრება, რომელიც უკვე დაიწყო, დეკანოზის იოან. ვოსტორგოვის თავჯდომარეობით, ერთს კვირას გასტანს. კრებას თურმე აზრად აქვს მოილაპარაკოს იმის შესახებ, რომ, რაც შეიძლება, კარგად იყვეს სკოლებში დაყენებული სამღვთო სჯულისა და რუსულის ენის სწავლების საქმე.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს ზოგიერთი ქუჩები ნათლუხისაკენ მოკირწყლოს და ხარჯში მონაწილეობა შეძლებულ სახლის პატრონთ მიაღებინოს.

⁂ მიხეილის ქუჩაზედ მოკლე ხანში დაამთავრებენ იმ რელსების დაწყობას, რომელზედაც მატარებელმა ელექტრონით უნდა იაროს.

⁂ დღეს საარტისტო საზოგადოების თეატრში მოყვარულნი „ღალატ“-ს წარმოადგენ ქართულის თეატრის ზოგიერთ მსახიობთა დახმარებით. რეჟისორად ნიკ. ალექსი-მესხიშვილია.

⁂ წვრილ ვაჭრებს ძალიან გაუძვირებიათ ყველი ქალაქის მეექვსე საპოლიციო უბანში. თურმე ქალაქ გარედ გდიან და სოფლელთაგან ჰყიდულობენ ყველს. როცა დუქანშ მოაქვთ, მაშინ მამასისხლად ჰყიდიან. სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რაიმე ღონისძიებანი მიიღე ამ ვაჭრების წინაამდეგაო.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ამ ჟამად განსახილველი აქვს რამდენიმე თხოვნა სოფლებისა, რომელნიც სთხოვენ, პოსტა-ტელეგრაფის განყოფილება დაგვიარსეთო.

⁂ რადგან გაზაფხულდა და თბილი დღეებიც დაიჭირა, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა მისწერა ყველა გარნიზონების უფროსთ, რომ განკარგულება მოახდინონ, თუ რა დროიდან უნდა ატარონ ჯარის-კაცებმა საზაფხულო ტანისამოსი.

⁂ შუამდგომლობა იქმნა აღძრული, რომ საერობო თანხიდან 500 მანეთი გაიდოს დიდუბის მოედანზე დოღში გამარჯვებულ ცხენების პატრონთა დასაჯილდოვებლად.

⁂ ავლაბრის ქალაქის ხორცის დუქნის მეთვალყურედ დაინიშნა ბებია ქალი მოსკვინა.

⁂ მოკლე ხანში მეცხრე საპოლიციო უბნის ყველა შესამჩნევ ქუჩებზე გამოყვანილ იქმნება რუები, სადაც მუდამ წყალი ივლის.

ჩვენებური ამბები

დ. ხონი. 3 აპრილს ხონში, ახალ მამასახლისის მიხეილ პეტრესძის სანოძის წინადადებით, მოხდა ყრილობა, რომელსაც ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო. განსახილველ საგანთა შორის შესანიშნავი იყო სახელმწიფო გადასახადის მოკრება და გზების შეკეთების საქმე. სახელმწიფო გადასახადის სქმე, როგორც ყველგან, ისე ხონშიაც, ამდენ ხანს ამნაირად იყო: გააწერდენ თუ არა მცხოვრებთ ფულს, ამოირჩევდენ ფულის მომკრეფთა, რომლებიც დიდგან ამორჩევისა დაქაქანებდნენ ქუჩებში და ნამდვილი თავზედ მეხის დმცემნი იყვნენ ღარიბ ხალხისა, ღარიბი ხალხი ჯანჯალიაო და ამიტომ ყველაზედ უწინ იმათგან იწყებდნენ ფულის მოგროვებას. საწყლებს გაჭირვებაზედ-გაჭირვებას უმატებდნენ. ამკრეფნი ვერ აგროვებდნენ ფულს დანიშნულ დროზედ და იძულებული ხდებოდნენ, რომ ისევ პოლიციის და მამასახლისისათვის მიემართათ, რომ «ჯანჯალ ხალხის. საოჯახო ნივთების წართმევით მაინც გაენაღდებინათ ფული. ხშირად წერა-კითხვის უცოდინარნიც იყვნენ, რისგამო საქმეს თავს ვერ ატანდნენ, ანგარიშში სცდებოდნენ, ფულს ჰკარგავდნენ ან ჰფლანგავდნენ და ვალში ვარდებოდნენ. ყველა ეს კარგად აუხსნა ბ. მამასახლისმა ხალხს და სიტყვა ამნაირათ დაამბოლოვა: «ამისთვის, ბატონებო, თუ თქვენი სურვილიც იქნება, გავიზრახე:-«სბორჩიკებს» სულ ნუღარ ამოგირჩევთ, თვით ჩვენ მივიღებთ თავზედ ამ საქმეს, სულ ერთია, ბოლოს მაინც ჩემი დახმარება არის საჭირო.

როდესაც თქვენ გაგაცნობთ რამდენობას თვითეულზედ გაწერილ სახელმწიფო ფულისას, თავდარიგი დაიჭირეთ და პირველ მაისიდგან დამლევ ივნისამდე თავათ მოიტანეთ თქვენ თქვენი ხვედრი გაწერილ ფულისა სასოფლო სამმართველოში და კვიტანციებს მიიღებთო.» ეს წინადადება ხალხმა სიამოვნებით მიიღო და მამასახლისს მადლობა შესწირა ამ მეტ შრომის თავზედ მიღებისთვის.

გზების შესაკეთებლათ მამასახლისმა საჭიროთ დაინახა, შემოიღოს ახალი წესი «იჯარით აღება». სანამ ამ წესს სალხს გაუმჟღავნებდა, მამასახლისმა აუხსნა და დაანახვა ხალხს ძველი წესით, ე. ი. გამოწვევით ან თავიანთ ჰიშკარზედ გზის კეთების უვარგისობა. მერმე გამოუცხადა ხალხს, რომ თუ ხეირიანი გზები სურთ იქონიონ, უთუოდ ახალის წესით უნდა შევუდგეთ გზების შეკეთებასო. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. მამასახლისმა ამ საქმეში დიდი ცოდნა და დაკვირვება გაგვანახვა. იმას გამოუანგარიშებია, რომ გზების შეკეთებას დაახლოვებით 15 ათასი მანეთი მოუნდება და ამ ფულის მოსაპოვებლად შემდეგი გეგმა შეუდგენია: მთელი ხონის საზოგადოება შეძლების მიხედვით ხარისხებათ დაუყვია. უკანასკნელ ხარისხის ხალხი, როგორც უკიდურესად ღარიბები, რიცხვით 1[illegible] კომლი, მთლად გაუთავისუფლებია ამ ხარჯიდგან და დანარჩენებზე გაუწერია საჭირო ფული, ასე რომ, როცა პირველ ხარისხის კაცს ჰხვდება საშუალო რიცხვით 30 მ. ამდროს უკანასკნელ ხარისხის გადამხდელ კაცს-2½ მ. ეს დიდი შეღავათი არის ღარიბებისათვის, მით უმეტეს რომ ეს ფული იმათ ხელში დატრიალდება, რადგანაც თვით იმუშავებენ, მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ ხელ მოკლე ხალხის უმეტესობამ უკმაყოფილება გამოაცხადა. მამასახლისი მოთმინებიდამ გამოვიდა, უბრძანა ერთის წესიერების დამრღვევ გლეხის დაჭერა. ეს იწყინეს და კრება დაიშალა.

არ ეპატიება ხონელ საზოგადოებას ამ გვარი დიად გეგმის მიუღებლობა მაგრამ გასამართლებელი საბუთები ბევრი აქვს. აღრინდელ მამასახლისებისაგან ბევრი უსამართლობა ახსოვს: ხშირად მოწმე ყოფილა ფულის გაფლანგვისა. ამისათვის დღეს ყოველსავე ფულის გადასახადს ეჭვის თვალით უყურებენ, ფულის გაწერა გულის ცახცახს ჰგვრის: ვაითუ მოგვატყუონ, განაჩენზე ხელი მოგვაწერინონ და მერმე სამუდამოდ თავზედ მოგვახვიონო. აი ამან შეაფიქა იმ დღესაც ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმეშიაც ხალხის უმეტესობა. მათ ყოველივე ახალი წესი აშინებს, თვით მამასახლისის წინადადებაზედ სახელმწიფო ფულის მოკრეფის შესახებ ხალხმა ეჭვი შეიტანა: «ვაითუ გვატყუებს, უნდა ფულები ხელში ჩაიგდოს, გაფლანგოს და მერმე ისევ ჩვენ გადაგვხდესო», ამბობდნენ კრებაზედ ჩუმჩუმათ.

მაგრამ ვიმეორებ, გამოცდილება ჰბადებს ამ გვარ ეჭვს; ამიტომ პატიოსან, გულმტკივნეულ მამასახლის გული არ უნდა გაუტეხოს. კრება აპრილისთვის გადაიდვა. ამ კრებაზე განსახილველი საგანი იქნება მხოლოდ გზის საქმე. იმედია ხონის საზოგადოება უფრო შეგნებულად და საქმის ინტერესით მოჰკიდებს ამ საქმეს ხელს და ამ კარგს გეგმას მხარს მისცემს.

მიხ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 აპრილი.

პეტერბურგი. 20 აპრილს გარდაიცვალა რამდენსამე ომში გმირობით სახელგათქმული გენერალი ნიკოლოოზ სტეფანეს-ძე განეცკი.

სევასტოპოლი. ადმირალი სკრიდლოვი მეზღვაურთა საკრებულოში გამოეთხოვა ოფიცრებს. დარბაზის კარებში ადმირალ სკრიდლოვს მიეგება ვიცე-ადმირალი კრიგერი და მიართვა დასაკეცი ხატი წმ. გიორგისა, ნიკოლოოზისა და ალექსანდრე ნეველისა, შემდეგ მიართვა ადრესი, რომელიც თან ხმა-მაღლა წაიკითხა: თქვენო აღმატებულებავ ნიკოლოზ ილარიონისძევ, ნებითა რუსეთის მხედრობის თვითმპყრობელის სარდლის დანიშნული იქმენით დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსად. მძიმესი და პასუხსაგებელ მოვალეობის აღსრულება მოგელით ძვირფას სამშობლოს თავ-განწირულ დამცველებთან ერთად. დიდებულია და სახელოვანი წინამდებარე გზა თქვენი, მაგრამ თავად თხოულობს-კი მთლად გონებისა და ჯან-ღონის შემოკრებასა. ღმერთიმც შეგეწევათ მის სრულის წარმატებით გავლას. ჩვენ, შავიზღვის მეზღვაურნი, მოგიძღვნით-რა ამ დასაკეც ხატს, ვითა შავის ზღვის ფლოტის დალოცვას სამარ ღვაწლისათვის, ვიზიარებთ მთლად რუსებთან ერთად ერთ-სულობით აღვლენილს მხურვალე ლოცვას და აქასევასტოპოლის ბორცვთა მახლობლად, რომელნიც მოწმენი იყვნენ რუსეთის დევ-გმირთა დიდებულ ღვაწლისა, ვევედრებით უზენაესს, შეგეწიოს იგი შენ, მეფის არჩეულს, ძვირფასის სამშობლოს სახელსა და ანდრიას დროშის ღირსების დასაცველად, რუსეთის ძლიერების დასამყარებლად დიდ-ოკეანეს ნაპირებად.

ფელეტონი

ისტორიულ პიესის წარმოდგენის გამო.

(ვუძღვნი ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას).

(გაგრძელება *).

ბ. ქალთ—როგორც ძველად—თმა გარდაშვებული და დაწნული, კავები წინედ თავისავე თმისა, დღეს კი ბევრთ გაკეთებული აქვთ სხვის თმისა. ხანში შესულთ კავები გრძელი, ლეჩაქში ბოლო დაფარული; ახალგაზრდათა—მოკლე, ლაწვებზედ გამოჩენილი, წარბებიან ნაქვთებ წამოწეულნი, დაგრეხილ-დახუჭუჭებული. ზედა ქუდი, ლეჩაქი ბევრ ნაირი იყო:

1. მძიმედ ხასის მარგალიტით და ოქროს სირმით ნაკერი, ხასა სიასამურზედ გარდაკრული *).

2. ოქროს სირმით ნაკერი ხასა სიასამურზედ გარდაკრული.

«მარგალიტის ქუდს დახურვენ დილაზე
დასაშვენათა»,

ამბობს მეფე თეიმურაზი.

3. თოდფაქი ანუ არახჩინი — თვალ-მარგალიტით და კილიტით ნაკერი, ესე ღამის დასახური იყო.

«თავს მოხდიან ილქანსა—გაწყობილსა,
ძვირად ღირსა
«და სხვა ფერ მოჰრთავს დედა ქალს—
თავს დახურავს სუბუქ-მცირსა».

4. ხოისი ანუ სარადუჯი—ხმარებული კაცთაგან და ქალთაგან (იქვე) ხომალდის ცხვირის გვარი: წინა და უკან ცხვირ აწეული.

5. ლეჩაქის ზემოდ თხემზედ იფარებდნენ აბრეშუმ ოქრომკედ-მარგალიტ ნაკერ ქსოვილს-ქუდსავით მოყვანილ ნაჰერს.

6. ილქანი-ჯიღით—პატიოსან თვალ-მარგალიტ-ოქროთი მოჭედილი, ოქროს სირმით ნაკერი. ჯიღა რამდენიმე ერჭო თავ-სახურში, ერთიდან დაწყობილი ოთხამდინ, ჯიღა მარგალიტ-მოოჭვილი ხასა ფრთაა, ზიღეფი დარჭობილი საჯიხეში თავზედ ან თავსახურავზედ. საჯიღე ოქროსი იყო, თვალ-მარგალიტით შემკული. (იხ. საბინინის „საქართველოს სამოთხე“ გვ. 180—582, სურათები წმ. შუშანიკასი და ქეთევან დედოფლისა).

„ოთხის ჯიღებით ილქანს აწყობენ საკურთხევადა,
„ტანთა შემოსვენ სულ თეთრის ბრწყინვალის სასოსლითა
„ქალთა მათ მორთონ კელ-ახლად ილქნით ჯიღებიანით
„მას იარაღი შეასხან მარგალიტისა თვლიანით.
„გვირგვინ დახურვენ თავზედა, ისე არს პირ ბადიანი
„ილქანს ხურვენ კვირგვინით, არ იფარებენ ბადესა“.

(ქორწილი. ვაჟის სახლში მისვლა. მ. თეიმურაზისა)

მე თვით მინახავს ქიზიყში, რომ პატარძალს თავს ეხურა ილქანი ჯიღებით და ყამჩით-თვალ მარგალიტით მოქარგული—იმ გვარი, რაგვარსაც თამარ მეფის სურათზე ვხედავთ.

ილქანი იყო სახმარებელი თავად-აზნაურობაში და დაქორწილების დროს ზედ გვირგვინს ადგავდნენ (ფოჩებიანს), ხოლოდ სამეფო-დედოფლის ილქან-ჯიღას ერქვა „სირიზა“. დარეჯან დედოფლის ერეკლე მეორის თანა მეცხედრის ნაქონი სირიზა დარჩენია თამარ ბატონისშვილს დავით სარდრის ორბელიანის მეუღლეს, რომელსაც იგი შეუწირავს ან ჩიხატის ტაძრისათვის. 1859 წ. მაშინდელ ეგზარხოსის განკარგულების გამო, სხვათა საეკლესიო ნივთთაშორის ესეც საჯაროთ გაუყიდნიათ. უყიდნია თამარ დედოფლის შვილი შვილს კნ. ანასტასია დავითის ასულს გაგარინისასა, რომელიც, როგორც წმინდათა წმინდას, უფრთხილდება და ინახავს. ესე ძვირფასი ნივთი უყიდნია შვიდ თუმნათ (70 მ.), როგორც მამა პ. კარბელაშვილმა გარდმომცა თვალ მარგალიტით თურმე მორთული. გარსშუბლზედ დასამაგრებლად ავლია აპილური ოქროს ზოდის ხრიკით შესაკრავი პრტყელი სალტა. მიემგზავსება თამარ მეფის და წმ. შუშანიკას სირიზას, მხოლოდ განსხვავდება მით, რომ სალტა კბილიანია.

ლეჩაქი ანუ ჩიქილა—ირიბი (სამკუთხი) სხვა-და-სხვა ფერისა, უფრო კი თეთრი, ატლასისა, შილაისა, ბლონდისა, წმინდა მარმაშისა (ტარლატანი); ამას და შავს გლოვიარები იხურავდნენ: «მესამე დღეს დახურვენ ქვრივს ლეჩაქსა შავსა». (კაცის სიკვდილის ამბავი მ. თეიმ.) ხალისად ნაკერსა და სათასა, მოთვალ-მარგალიტებულსა, დაბასმულსა, სხვა-და-სხვა სიგანის არშიით მოვლებულსა, — ერთი წვერი ლეჩაქისა უკან წელზედ გადაგდებული, მეორე ნიკაპ ქვეშ ამოდებული, მფარავი ყელისა და მარცხენა მკერდის თავისა, მესამე თავსაკრავი ზეიდან მარჯვენა მხარეს გადაგდებულ—დაშვერილი ლავიწამდისინ, დამაგრებული ქინძისთავით თხემზედ. ლეჩაქზემოდ შუბლზედ წაკრული შუსტაკი და შუსტაკზედ შემოკრული თავსაკრავი. უკანასკნელ ჩვენ მეფეთ დროს შუბლზედ შუსტაკის ზეიდან ნაცვლად თავსაკრავისა წაკრული ჰქონდათ ან აბრეშუმის ან ბამბის ქსოვილი, წინ დამაგრებული ღილ-

---

*) ამ გვარი ძვირფასი ქუდი დღესაც ჰბურავს ჯვარ-პატიოსანის თავზედ ქვემო-ქალაში. ჯვარი ესე ასვენია ამირინდო ამილახვრის მიერ 1774 წ, აშენებულ ეკლესიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტ-არტური (საკუთარ კორესპონ.) 20 აპრილს, ნაშუაღამევის 1 საათზედ გამოჩნდა იაპონიის 5 ნაღმოსანი. მაშინვე დაუშინეს ნაპირებიდან ზარბაზნები; დაუშინეს აგრეთვე სადარაჯო გემ «გილიაკისა», «გრემიაშჩისა» და «ოტვაჟნიდან» ზარბაზნების სროლამ აიძულა ნაღმოსნები უკან გაბრუნებულიყვნენ. ამ დროს ცის დასავალზედ გამოჩნდნენ იაპონიის გემები; სამხრეთიდან წინ მოდიოდა ჩასახერგი სავაჭრო გემი და მოიმართებოდა სწორედ ნავთსადგურის შესავალ კარისაკენ. ზარბაზნები დაუშინეს და გემი ჩაიძირა 1 საათსა და 30 წუთზედ. 1 საათსა და 45 წუთზედ ორი ჩასახერგი გემი კიდევ გამოემართა. ისინიც ზარბაზნების დაშენით ჩაძირულ იქმნა. 2 საათსა და 25 წუთზედ წამოვიდა კიდევ ოთხი ამნაირივე გემი. მათ შორის სამი ჩვენ მიერ ჩახერგილ ნაღმებისაკენ გაემართა, ორი მაშინვე ჩასძირა, ხოლო დანარჩენი ორი ჩაიძირა ბატარეების და გემების ზარბაზნების სროლით, მონაწილეობა მიიღო სროლაში «ასკოლდმაც». 2 საათსა და 40 წუთზედ კიდევ გაჩნდა სამი ჩასახერგი გემი; მათ შორის ერთი აფეთქებულ იქმნა, მეორე ნაპირს გამოაგდო და მესამე ჩაიძირა ჩვენის ყუმბარების სროლითა. სროლის დაწყებისათანავე ხელმწიფის მოადგილე შტაბის უფროსითურთ, დროშის კაპიტანითა და შტაბის მოხელეებით ორთქლ-მავალ პატარა გემ «სევასტოპოლში» ჩაჯდა და ავიდა «ოტვაჟნიზე». ბრძოლა არ შეწყვეტილა.

პორტ-არტური. 4 საათსა და 15 წუთზედ გამოჩნდა ჯერ ერთი ნაღმოსანი იაპონიისა, ხოლო პატარა ხანს უკან 4 კიდევ სხვა. ორი ჩაიძირა ბატარეებისა და გემთა ზარბაზნების სროლითა, ხოლო ორი დაზიანებულ იქმნა. ეს ორი მტრის გემებმა გამოიბეს უკან და წაიყვანეს. ჩასახერგ გემიდან დაგვიშინეს მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები და ტყვიების მრავლად გამფანტველი მანქანები. დაძირულ ჩასახერგ გემის მეზღვაურნი პატარა ნავებით ჰშველოდნენ თავს და მიდიოდნენ ზღვაში; ჩვენც მხნედ ვესროდით მიმავალთ თოფსა და ტყვიების მფანტველ მანქანებსა. მეზღვაურთა უმრავლესობა ამოვჟლიტეთ, ხოლო ნაწილი შევიპყარით და იარღი ავხსენით. განთიადისას ორ ჩასახერგ გემის ბაქნებსა და ბოლის მილებზედ შევნიშნეთ სიკვდილს გადარჩენილი იაპონელები. მაშინვე ნაპირიდან გავგზანეთ ნავები, აგრეთვე ნავები «გილიაკისა» და გადავარჩინეთ გაჭირვებით 9 კაცი. ღელვა დიდი იყო და გადარჩენა ხალხისა ადვილი არ იყო. როცა ჩასახერგი გემები იერიშით მოდიოდნენ, მტერი პროჟექტორებით მოქმედებდა. იაპონელების ზარალია: 7 დაჭრილი მდაბიო მეზღვაური, 2 მძიმედ დაჭრილი ოფიცერი, ჭრილობისაგან დახოცილი 13, გადარჩენილი და ტყვედ შეპყრობილი 9. დაჭრილნი და გადარჩენილნი გაათბეს მდაბიო ჯარის კაცებმა, მშრალი ტანისამოსი ჩააცვეს და პური აჭამეს. დაჭრილნი 3 «მონგოლიაზე» გაისტუმრეს, ნავთსადგურში და „პორტის ქსენონებში-3. თუმცა ცხარე ბრძოლა იყო, ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. დატყვევებულთ ჩვენება ჩამოვართვით. იმათის ჩვენებით, ჩასახერგი გემები კორეის ნავთ-სადგურებიდან წამოსულან. ამ გემებზედ მხოლოდ მეზღვაურთა რაზმი იყვნენ.

21 აპრილი.

პეტერბურგი. დეპეშა ხელმწიფის მოადგილისა დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის სახელობაზედ 20 აპრილის თარიღით: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უმაღლესობას, რომ წუხელ წარმატებით უკუ ვაქციეთ პორტ-არტურზედ იერიშით მოსულნი იაპონელნი, რომელთაც უნდოდათ ნავთსადგურის შემავალი კარი დაეხშოთ. ნაშუაღამევის 1 საათზედ აღმოსავლეთ ბატარეებიდან ნაპირის ახლოს აღმოჩენილ იქმნა 5 ნაღმიანი გემი, რომელნიც ჩვენმა ზარბაზნების სროლამ აიძულა სამხრეთისაკენ წასულიყვნენ; 1 საათსა და 45 წუთზედ გამოჩნდა რამდენისამე ნაღმოსანით პირველი გემი, ჩასახერგად დანიშნული, რომელსაც დაუწყეს სროლა ჩვენმა ზარბაზნებმა. პატარა ხანს უკან პროჟექტორებით აღმოჩენილ იქმნა კიდევ ბლომად ჩასახერგი გემები, რომელნიც მოდიოდნენ ნავთსადგურში შემოსასვლელ კარისაკენ აღმოსავლეთიდანა და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. «ოტვაჟნი», «გილიაკი» და «გრემიაშჩი», აგრეთვე ნაპირის ბატარეები ესროდნენ ყუმბარებს და უკუ აქცევდნენ თითოეულს გემს უფრო ზარბაზნებითა და უაიტხედის ნაღმებით; აგრეთვე ჩაწყობილ ნაღმების აფეთქებითა. რეიდზე ჩაძირულ იქმნა 8 გემი და დაზარალებულ ორი ნაღმოსანი, რომელნიც კიდევ სჩანან ცის იერზე (?). ყველა ჩასახერგი გემები შეიარაღებული იყო მსწრაფლ-მსროლის წარბაზნებით და ტყვიებ-მფრქვევ მანქანებით, რომელნიც განუწყვეტლივ მოქმედებდა. იმათ შორის, ვინც გადარჩენას ლამობდნენ, აქამდე დაჭერილ იქმნა და გადმოსხმულ ჩასახერგ გემებიდგან 30 კაცამდე, მათ შორის 2 სასიკვდილოდ დაჭრილი ოფიცერი. რეიდის დათვალიერება და კაცთა გადარჩენა ღელვამ დააბრკოლა. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. სუბუქად დაიჭრა ერთი მეზღვაური ნაღმოსან «ბოევოი»-სა. პირველი ჩასახერგი გემი რომ გამოჩნდა, მე გადაველ ნავ «ოტვაჟნიზედ» და თან წავიყვანე შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ჟილინსკი და მედროშე—კაპიტანი 1-ლის ხარისხისა ებერგარდი, რათა პირ-და-პირ მეძლია განკარგულება ჩასახერგ გემების იერიშის უკუცქევისათვის. ხმელეთის სიმაგრეზედ-კი იყო გენ.-ლეიტ. სტესსელი, ხოლო ნავ „გილიაკ“ ზედ კონტრ-ადმირალი ლოშჩინსკი. დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მის უდიდებულესობის სახელობაზედ 19 აპრილის თარიღით: «ტელეგრაფის მავთულების დაწყვეტის გამო, არ მომსვლია გენერალ ზასულიჩის მოხსენება. იმათის ჩვენებით, ვინც წუხელ ფინხუანჩენიდან მოვიდნენ, იაპონელებს დიდი არტილერია ჰყავდათ, მეტი ჯარი და ამ დიდის ძალით მოიტანეს იერიში ჩვენს მარცხენა ფრთაზედ, თან გარსაც შემოეხვივნენ. აქ მოჰხდა ცხარე ბრძოლა, რომელშიაც მონაწილეობდნენ მე-22 და მე-12 მსროლელთა პოლკები. ჩვენი რიცხვით სუსტი ჯარი მედგრად იცავდა თავს, იგერიებდა მტერს, ხან შეუტევდა ხოლმე კიდეცა, მაგრამ მაინც ვერ შეინარჩუნა სიმაგრე და უკუ-იქცა. მტერს დაუტოვა რამდენიმე ზარბაზანი. ბევრი ხალხი და ცხენი დავკარგეთ და ამის გამო ზარბაზნები ველარ წამოვიღეთ. ჩვენმა ჯარმა ფინხუანჩენისაკენ დაიწია. გენერალ ზასულიჩს სულ 5 პოლკი და 5 ბატარეია ჰყავდა. ამათშიაც ერთს პოლკს დაორ ბოტარეიას ომში მონაწილეობა არ მიუღია. ისინი შახძისკენ იდგნენ და მტერი იქით არ წასულა იერიშით. ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ რაკი ბრძოლა მედგარი იყო, ფრიად დიდი ზარალი უნდა მოგვსვლოდეს

პორტ-არტური, 20 აპრილი, (საკუთარის კორესპ. გაგრძელება) დილამდე მტრის ათი ნაღმოსანი შორს იდგა, იმათ შორიდგან ესროდნენ ყუმბარებსა.—დილას ათის ნახევარზე მოვიდა ამბავი, რომ იაპონიის ესკადრა ახლოა.—ნაპირას გამორიყა მტრის ორი პატარა ნავი.—დილით, შვიდის ნახევარზე, მოვიდა დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე. ხალხი მშვიდობიანად არის პორტ-არტურში და თვალს ადევნებს ბრძოლასა. თუმცა სროლა იყო, მაგრამ «ნოვი კრაის» სტამბას, რომელიც ნავსადგურზე ახლოა, ერთ წუთსაც არ შეუჩერებია სავადო მუშაობა და ნომერი თავის დროზე - დილის რვა საათზე გამოუშვა.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბის სახელზე 19 აპრილის თარიღით: «18 აპრილს სიუნჩენის დასავლეთით ნაპირისაკენ წამოვიდა ორი გემი, ეტყობოდა, ნაღმოსნები იყო. გაიჩიოდან დასავლეთისკენ შენიშნეს ჯერ ორი გემი, რომელიც ნაპირ-ნაპირ დადიოდა, ესე შუადღის სამ საათამდე, შემდეგ შენიშნეს ესკადრა 10 გემით, რომელიც წავიდა ჩრდილო-დასავლეთისკენ. ინკოუსთან გემები არ გამოჩენილან.

მუკდენი. (საკუთ. კორესპ.). რიგორც ცნობები მოვიდა, 18 აპრილს ტურენჩენთან სახუმარი ომი არა ყოფილა. უმთავრეს მონაწილეობას იღებდა 12 და 22 მსროლელი პოლკები და 6 არტილლერიის ბრიგადის ბატარეია. ჩვენმა ჯარებმა რამდენჯერმე შეუტიეს, მაგრამ რადგან მტერი ერთობ ბევრი იყო, განსაკუთრებით არტილლერია, ბრძოლით უკან დაიწიეს ფინხუანჩენისკენ. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენი ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ ბრძოლა მედგარი იყო და უეჭველია, ზარალი თვალსაჩინო იქნება. ღონისძიება მიღებულია, რომ მტრის ძალა და განძრახვანი შევიტყოთ.

სევასტოპოლი ვიცე-ადმირალს სკრიდლოვს არა აქვს დრო და მოცალეობა, რომ ყველას პასუხი გასცეს, ვინც კი მიულოცა წყნარ ოკეანის ფლოტის უფროსობა, ამიტომ გულითად მადლობას უძღვნის ყველა დაწესებულებათა, საზოგადოებათა და კერძო კაცთა მილოცვისათვის.

ბერლინი. როგორც იუწყებიან, მტკიცდება, რომ რუსეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკებაა იმ უსიამოვნობის ასაცილებლად, რომელიც თიბეტის საქმემ გამოიწვია

სეული. („რეიტერის სააგენტო“) კულენჩენთან ბრძოლის შემდეგ იაპონიის ცხენოსანი ჯარი დაედევნა რუსების ქვეითა ჯარსა და მისდია ცინხუანჩენის სიმაღლეებს იქით.

შანჰაი. ყველა რუსის ჯარები, რომელიც ნიუჩუანს ახლო იყო, ნაპირებზე დააყენეს, რადგანაც იაპონელების გადმოსვლას ელიან.

ტიანძინი („რეიტერის სააგენტო“). რუსის მოხელეებმა ამბავი მიიღეს, იაპონიის 9 სავაჭრო გემი დიდის სიჩქარით მიდის გასავლისაკენ, რომელიც პორტ-არტურის შიდა რეიდზე მიდის, იმ აზრით რომ ჩაჰკეტონ გასავალი, მაგრამ ნაპირის ბატარეიების ზარბაზნებმა ჩაღუპეს წყალშიო. გასავალი ისევ თავისუფლად დარჩაო.

სევასტოპოლი. როდესაც სკრიდლოვმა მილოცვა მოისმინა, წარმოსთქვა: «გულითა გმადლობთ, ბატონებო, ყველასა თქვენის ჩემდამო კეთილის სურვილებისა და გზის დალოცვისათვის, რომელიც ჩემთვის მით უმეტესს ძვირფასია, რომ აღმოხდა იგი ჩემ თანამოსამსახურეთა გულიდგან. უჩვეულებრივო გარემოებამ შესწყვიტა ჩემი სამსახური შავის ზღვის ფლოტზე. ვითვალისწინებ რა ჩვენს ერთის წლის მოქმედებას, სიამოვნებით ვხედავ, რომ ამა მოკლე დროს ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ. პირველ ხანად ჩემს დაწყობილობას ხანდისხან ეჭვით უყურებდნენ, მაგრამ თანდითან გაჰქრა ეჭვები, რაკი შეატყეს, რომ მე ვცდილობდი ფლოტის გაძლიერებისა და კარგ ფეხზე დაყენებისათვის. მივდივარ სევასტოპოლიდან და თან მიმაქვს ცხოველი მოგონებანი შავი ზღვის მეზღვაურების შესახებ, რომელნიც მე გულწრფელად შევიყვარე და რომელთაგანაც დღეს ავირჩიე ჩემს თანაშემწეებად შორეულ აღმოსავლეთში მძიმე ბრძოლისათვის. ერთხელ კიდევ გულითა გმადლობთ». აუარებელმა ხალხმა გააცილა ადმირალი სკრიდლოვი, უსურვა იმას მრავალი სიკეთე. ქალაქის თავმა დასაკეცი ხატი მიართვა; ებრაელთა რაბინმა დაბადება მიართვა. ყველამ გამარჯვება უსურვა ადმირალსა, რომელმაც მოკლე ხანში საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მუკდენი. 20 აპრილი. (საკუთ. კორ.). 20 აპრილს ღამით პორტ-არტურს იაპონელთა რვა ჩასახერგი გემი მიადგა და ნაღმოსნები მოჰყვა თანა. ჩვენმა გემებმა და ბატარეებმა სროლა ასტეხეს. გემები ჩაიძირა, ასე რომ განძრახვა ვერ შეუსრულდათ. გასავალი სრულებით თავისუფალია,

ვლადივოსტოკი. ნიკოლოსკ-უსურიის ციხიდან 6 შესანიშნავი ტუსაღი-რეციდივისტი გაიქცა. აღმოჩნდა, რომ ისინი გამოუშვია მორიგ ზედამხედველსა. დამნაშავე შეიპყრეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს. გაქცეულებს დაეძებენ.

ბუქარესტი. პალატამ ერთხმად მიიღო კანონპროექტი, რომლითაც 28 მილიონ ფრანკს თხოულობენ მსწრაფლ მსროლელ იარაღის შესაძენად.

ბერლინი გერმანიის სამხრეთ-დასავლეთის სამფლობელოში 1500 კაცსა ჰგზავნიან მისაშველებლად, ამათში 59 ცხენოსანია, 5 0 ქვეითი ჯარი და 2 ბატარეა.

პეტერბურგი. დეპეშა გენერ.-ადიუტ. კუროპატკინისა 20 აპრილის თარიღით: გენერალ ზაზულიჩის მოხსენების თანახმად, რომელიც 20 აპრილს მოვიდა, ბრძოლა ტიურენჩენის სიმაგრეზედ 18 აპრილს ასეთ გარემოებათა შორის სწარმოებდა: ბრძოლაში მონაწილეობდნენ მე-12 და მე-22 პოლკები და არტილერიის მე-2 და მე-3 ბრიგადა. ბრძოლა დაიწყო მით, რომ გაძლიერებით აუტეხეს სროლა ჩვენს მარჯვენა ფრთას იჯუდან დიდის ციხის ზარბაზნებით და კუნძულებზედ დამყარებულ ბატარეებიდან. მცირეოდენის მდუმარების შემდეგ სროლა ხელახლად გაძლიერდა ჩვენის მარცხენა ფრთისა, ტიურენჩენის უმთავრეს სიმაგრისა და პოტენძის სიმაგრის წინაალმდეგ. ასტყდა თოფის სროლაცა. იაპონელებმა იერიში მოიტანეს და გამოვიდნენ მდინარე აიხეში პოტენძის სიმაგრის დამცველთა მდგომარეობა, რაკი პირის პირაც ესროდნენ და აქეთ-იქითა მხრიდანაც, თან და თან უფრო და უფრო გასაჭირი შეიქმნა. ვენის ბატარეის აწინაალმდეგოდ პოტენძითან გამოლაგებული იყო 30 ზარბაზანი. ჩვენმა [illegible] აიძულა დადუმებულიყო მტრის სამთო ბატარეია, სროლა დაუწყო ახლა ქვეითა ჯარს და მცირე ზარალი ჰნახა, ვიდრე იძულებული არ შეიქმნა მეორე ადგილას გადასულიყო, რაკი ჩვენმა ქვეითმა ჯარმა უკან დაიწია წყლის ნაპირიდან. იაპონელთ, ჩვენი სროლით შეწუხებულთ, განუწყვეტლივ მოჰქონდათ იერიში სულ ახალ-ახალ ჯარებით, თუმცა ვერა ჰბედავდნენ პირ-და პირ ხიშტით ხელ-ჩართულს ბრძოლას; საცა წყალში გამოდიოდნენ გორები დადგა მათ დახოცილთა გვამთაგან. პოტენძის იერიშთან ერთად მოტანილ იქნმა იერიში ტიურენჩენის სიმაგრის მარცხენა ფრთის წინაალმდეგაც. დაბრობი სანგრები, რომელსაც ჰხვდებოდა ზემოდან ნასროლი ყუმბარები, იძულებულნი ვიყავით დაგვეტოვებინა. ზურგის ჯარები რამდენჯერმე შეცვივდენ მოწინავეთა გასაძლიერებლად და ღონისძიება მისცეს კარგა ხანს შეენარჩუნებინათ პოზიცია, მაგრამ შემდეგ სულ შეუერთდნენ მოწინავეებს, ხოლო უმთავრეს სათადარიგო ჯარიდან შველა ვერ მოხერხდა, რადგან ძლიერ შორს იყო. ჯარები წამოვიდნენ დამშვიდებით უმთავრეს პოზიციიდან და ტნურენჩენის უკანა ადგილი დაიჭირეს, მხოლოდ ძლიერი სროლა არ შეუწყვეტიათ ამ დროს იაპონელებს, რომელნიც ვერ ჰბედავდნენ მაღლიდან ძირს ჩამოსვლას და, რაკი ჩვენმა ზარბაზნებმაც ტყვია დაუშინეს, სანგრების კეთება და თხრილების ამოღება დაიწყეს. ჩვენს ახალს პოზიციას მტერმა მედგრად დაუშინა ზარბაზნები და დაუწყო გარს შემოვლა ჩვენს მარცხენა ფრთას ჩინგოუსა და ლიაუფანგოს მთავარ რეზერვიდან მოვიდა ორი ბატალიონი მე-11 პოლკისა და მე-3 ბატარეია მე 8 საარტილერიო ბრიგადისა, რომელთაც ისეთი ადგილი დაიჭირეს, რომ ორ მხარეზედ ისროდნენ თოფ-ზარბაზან და მით შეაძლებინეს ჩვენს მოწინავე ჯარს, უკვე ძრიელ დაზარალებულს და დაჭრილთ, უკან დაეხიათ. მე-11 პოლკის ბატალიონებს გარს შემოუარეს იაპონელებმაც, რათა მტერი გაერღვიათ რამდენჯერმე გადაცვივდნენ ხიშტებით ხელ ჩართულ ბრძოლისათვის, მუსიკის კვრითა, მაგრამ იაპონელები უფრთხოდნენ ხიშტებით ბრძოლას და უკან იხევდნენ პოლკს წინ მიუძღოდა პოლკის მღვდელი ჯვრით ხელში, დაჭრილი ორის ტყვიით. მხოლოდ ხიშტებით ბრძოლამ მისცა ღონისძიება მე-11 პოლკს გაერღვია მტერი მე-10 პოლკის ბატალიონის მოსვლამდე; ამ ბატალიონის წყალობით კი ყველა ჯარის კაცნი უკან წამოვიდნენ. ზარალი მე-11 და მე-12 პოლკისა მეტად დიდია და ჯერ დანამდვილებით არ არის გამორკვეული. მე-11 პოლკში მოიკლა პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ლაიმანგი, ორი ბატალიონის უფროსი პოდპოლკოვნიკები დომეტტი და რაევსკი; მე-12 პოლკში

ქინძისთავითა,—ლეჩაქების ბოლოები თავზედ არ ჰქონდათ გადაგდებულ-დაშვებული,—ლეჩაქი მოხვეული თავზედ ჰფარავდა მკერდ-გულს, ხოლო ერთი წვერი იყო უკანდაშვებული,—ან შუბლი წაკრული ჰქონდათ ქუდისავით მოყვანილი («მაღალი») თავსაკრავით, რომლის ზეიდან ერთი ბოლო ლეჩაქისა იყო გადაფარებულ-დაშვებული, ან ერტყათ თავსაკრავი დღევანდელზედ ბევრად მაღალი მუმიისა, მუყაიშისა,—ყალამქარისა, შალისა—რიზა და ქირმანი შალების არშიისა, ნაკერი აბრეშუმ-თვალ-მარგალიტითა, უშუბლისქინძისთავო, პირზედ—პირის ასახვევი ჰატარძალს ანუ გზაში პირ-შალი თხელი ნაქსოვი, მოქარგული თვალ-მარგალიტითა ან ოქრომკედით, ძივით. თუშ-ფშავ-ხევსურის ქალთ თავზედ ახვევიათ დიდი ბამბის ანუ აბრეშუმის „მოსახვევი—მანდილი *), რომლისა ერთი წვერი კოჭებამდისინ დაშვებულია. მოხევეებში მანდილის მოხვევა შეუძლიან მხოლოდ ხანში შესულს, და არა ახალგაზდასა—გასათხოვარს, თუ გათხოვილს, სულ ერთია.

მოხევეთა მანდილი მიტკლისაა. მანდილზედ — შუბლზედ - გადაჭერილი ან ლურჯი, ან შავი ბამბის, აბრეშუმის, ანუ სხვა ქსოვილის უკან კეფაზედ—შეკრული თავ-სახვევი, რომლის ორთავ წვერები დაშვებულია წელამდე, მანდილი მის ქვეშ იმდენად არის შუბლზედ წამოწეული, რომ დაუჩრდილოს წარბ-თვალ-წამწამი. ზეიდან თავ-შალი. მოხევეების, გურულების ქალები ლეჩაქს უთავსაკრავოთაც იხვევენ, ისე რომ ყელი ღია არ რჩება. ქართლ-კახეთში, იმერეთში—ჩვენ დროს—იკრავდნენ თავსაკრავს არა მაღალსა, ყალამქრისას, შალისას, აბრეშუმისას, ატლასისას, ხავერდისას და სხვა ქსოვილებისას, თვალ-მარგალიტით, კილიტა-კნეტით, მძივით, ოქრომკედ-აბრეშუმით ნაკერს, ან სულ სადას. ზედ სხვა-და-სხვა ფერ ქსოვილისას კოპს, ფერი შეხამებული — თავსაკრავთან, — შუბლში ორი ქინძისთავი—მარგალიტისა, მძივისა ან სხვა რაიმე პატიოსნის თვალისა, ამ გვარივე, ხოლო უფრო დიდი—გულის პირში (საგულეში).

დღევანდელი ჩიხტი-კოპი დიდიხნის შემოღებული არ არის. გამიგონია, ეგ ჩიხტი-კოპი მოუგონია ერთ კახელ თავადიშვილს, სახელი და გვარი რომლისა აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ, რალაც უბედურების გამო, მის საყვარელდას ველარ შესძლებია ხელის თითების ხმარება.

თავზე მოსახვევი—ბაღდადი—სხვა-და-სხვა ფერისა,—აბრეშუმისა, შალისა.

კაბა გულ ამოჭრილი, გულისპირიანი, წინ შესაკვრელი ზორტებით, ხრიკებით, სახლებ, როგორც კაცთა ჩოხისა, გაჭრილი, მაჯაზედ შესაკვრელი ხრიკებით, ღილებით, ყოშებიანი, კაბის სახლებში გამოტანილი პერანგის სახელოები, ყოშებ ქვეშ ცოტად გამოჩენილი. კაბა იყო ჩაფრასტითა, გულზედ, სახლებ-მაჯებზედ, გულის პირზედ—შემოვლებული ბაფთ-*) ზორნით, მარგალიტის გრეხილით, რკალ სირმის ზისით, «ჩერქეზულ» ვიწრო ბუზმენტს—პრტყელს, — ყოშები უსარჩულო. კაბის ღილები (მაჯებისა) იყო ოქროს მურსა—მოჭვილი სხვა-და-სხვა პატიოსან—ძვირფასის თვლებით: იაგუნდითა, ფირუზითა, ზაბარილითა, მარგალიტითა, ბროლითა, ზურმუხტითა, მუშაბახათ მოჭრილის-ამბრით გატენილის ოქროსი და სხვ.,—ხრიკები ოქროსი ანუ სხვა ლითონისა.

კაბა—დარაია-ბაფთისა, ფერად-ფერადი, ზარბაბის შალისა, ფერად-ფერადის დიბისა, ისპაანის დარაიისა, სხვა-და-სხვა სახის ოქროს-ქსოვილისა,—გულის პირი—ფერად ფერადი ზარბაბის მუყაიშით ჩარყაფად(ქარგაზედ) ნაკერი ზარქაშის ინდოური, ხასადარაიასი, ყალამქრისა, ატლასისა, სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმ ქსოვილისა. კაბის ქვეშ, მინამ იუბკებს შემოიღებდნენ, ეცვათ ახალუხი გრძელ გულ-ამოჭრილი, დარაია-ბაფთისა, უფრო ყალამქრისა, ნაქსოვის სახეებით. ჩვენ დროს გადააგდეს ესე.

ნ. ი. ალექსიევ-მესხიევი.

(დასასრული იქნება)

---

*) აქედან წარმოსდგა ქალის სახელი «მანდილოსანი» — მანდილის მატარებელი. როდესაც რომ მამაკაცთ ჩხუბი მოუვიდოდათ და გაშველება მათი უსისხლოდ შეუძლებელი იყო, საკმარისი იყო მათ დასამშვიდებლად, გასაშორებლად მანდილოსნისგან მათ შუა მანდილის გადაგდება. მაგალითი არ ყოფილა, მაჩხუბართ პატივი არ ეცათ მანდილოსნისთვის და მშვიდობით არ განშორებულიყვნენ. დღესაც ესეა. აი აქ იხატება ჩვენ ქართველ მთის კაცთ პატივის ცემა მანდილოსნისა! აი ეგრედ წოდებული, „ველური“ ხალხი ესეთის პატივით ექცეოდა დედაკაცს!..

ავტორი.

*) ბაფთა—მოქსოვილი ზარისგან (წმინდა ოქრომკედისგან) პრტყელი ზონარი, ჩაფარიში სხვა-და-სხვა სიპრტყისა. განიერ ბაფთას ავლებდნენ ახალუხს გარს და სახლებზედ, ჩოხას ორთავ მხარეს გულისა, სახლებ-ყოშებზედ და ზოგჯერ გარსაც. ბაფთის ჩაფარიში აბრეშუმ-ზარითაც იქსოვებოდა. ჩვენი ქალები ამას შინა ჰქსოვდნენ.

მოიკლა და დაიჭრა 9 უფროსი როტისა! მე-2 და მე-3 ბატარეამ უმეტესი ნაწილი ცხენთა და კაცთა დაჰკარგა და ამიტომ ველარ წამოიღო ზარბაზნები და დასტოვა პოზიციაზედ, თუმცა კი ისე გააფუჭა, რომ აღარ გამოადგება არავის. ამავე მიზეზით ველარ წამოვიღეთ 6 წარბაზანი მესამე ბატარეისა და 8 ტყვია-მფრქვევი მანქანა, რომელიც აგრედვე გაფუჭებულ იქმნა. მთა ადგილმა ნება არ მოგვცა გაგვადაგვერჩინა და კაცთა შემწეობით წამოგვეღო ზარბაზნები. ფინხუანჩენის ქსენონში ჯერ-ჯერობით 800 დაჭრილი მოიყვანეს, მათ შორის 14 ოფიცერი. მათი წაყვანაც აქედან სრულიად უზრუნველ ყოფილია. ფინხუანჩენიდან სამხრეთ-აღმოსავლეთად გამოჩნდა იაპონიის ცხენოსანი ჯარი, მაგრამ შენიშნა რა მათ წინააალმდეგ დაყენებული ორი როტა ორის ზარბაზნით, ვერ გაბედა ფინხუანჩენს მოახლოვებოდა. დაჭრილნი დიდის გაჭირვებით გადმოყვანილ იქმნენ დაქირავებულ ჩინელ მუშების შემწეობით ორ თვლიან პატარა ჩასაჯდომებით და ჯარის კაცთა ცხენებით. უმეტესი ნაწილი მათი კი ფეხით მოდიოდა ამხანაგების შემწეობით და ერთს დღესა და ღამეში მიაღწიეს ფინხუანჩენს. გენერალი ზასულისი ჰმოწმობს, რომ, თუმცა დიდი ზარალი ჰნახა ჯარმა, მაინც სულით არ დაცემულა და მზადაა კვლავ თავი გამოიდოს. იაპონელები ძალიან დაზარალდნენ. აიხეს ნაპირებზედ, ტიურენჩენის პოზიციაზედ და ბევრგან სხვაგან იმდენი მკვდარნი ეყარნენ, რომ ომში დამსწრეთა სიტყვით, 3000—4000-ზედ ნაკლები არ უნდა ყოფილიყოვო.

იმ ვაჟკაცობისათვის რომელიც «კორეეცისა» და «ვარიაგის» მეზღვაურთ დაიმსახურეს 27 იანვარს ჩემულპოსთან ბრძოლას დროს მტრის წინააღმდეგ, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილინება და უბოძა მე-4 ხარისხის ორდენი გიორგისა უფროს აფიცერს ნავისას მე 2 რანგის კაპიტანს ზასუხინს, ლეტენანტებს სტეფანოვს 8-ს და ლევიტსკის. მიჩმანებს ბოისმანს, და ბირილევს 1-ლ უნცროს იეჟინერს-მექანიკოს ფრანკს და უცროს ექიმს მერკუშევს უფროსი ფლაგმანი მე-2 ფლოტის დივიზიასა, ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი დაინიშნა წყნარ ოკეანის ფლოტის 1-ლ ესკადრის უფროსად. აღმასრულებელი საზღვაო მთავარ შტაბის უფროსის თანამდებობისა მის უდიდებულესობის ამალის კონტრ-ადმირალი რაჟდესტვენსკი, დაინიშნა წყნარ-ოკეანის მეორე ესკადრის უფროსად და დატოვებულ იქმნა უწინდელ თანამდეობაშიაც. წყნარს ოკეანის ფლოტის უფროსის შტაბში დაინიშნა 2 რანგის კაპიტანი სტეცენკო პირველ ფლაგ-კაპიტნად; 2 რანგის კაპიტანი კლადო სამხედრო-საზღვაო განყოფილებას უფროსად საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი თავადი ვადბოლსი სამხედრო განყოფილების უფროსად. მისი უდიდებულესობის ამალი კონტ-ადმირალი როჟდესტვენსკი, რადგანაც საჩქაროდ ემზადება წასასვლელად მეორე ესკადრით წყნარ ოკეანისაკენ, მის უდიდებულესობის ნებართვით, განთავისუფლებულ იქმნა საზღვაო შტაბის საქმეთაგან. აღსრულება მთავარ შტაბის უფროსის თანამდებობისა დაევალა კონტ-ადმირალს ვირენიუსსა.

ლონდონი. („რეიტერის სააგენტო»). იაპონიის მისსიამ გამოაქვეყნა კუროკის დეპეშა: «მტერმა მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია. როდესაც უკან დაწეულს მტერს გამოვუდექით, ჩვენ კიდევ სამასი კაცი დაგვაკლდა. მტერი ბოლომდე მამაცურად იბრძოდა. ბოლოს ორი ბატარეია, რომელთაც ხალხიც და ცხენებიც დაუზიანდათ, ჩვენ დაგვრჩა“. — ტოკიოდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ რუსის არტილერისტებმა ზარბაზნებს კლიტეები ააგლიჯესო. იაპონიის ლაშქრის უმთავრეს ექიმის მოხსენებით, იაპონელებს დახოციათ და დასჭრიათ 798 კაცი.

პეტერბურგი. ბრძანება საზღვაო უწყებსაა 17 აპრილის თარიღით: „უმაღლესის ნებადართვით, იმ ესკადრას, რომელიც ამჟამად შორეულ აღმოსავლეთის წყლებში მოქმედებს, დაერქვას წყნარ ოკეანის ფლოტის პირველი ესკადრა; იმას კი, რომელიც მზადდება შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად, დაერქვას „წყნარ ოკეანის ფლოტს მეორე ესკადრა“. გენერალ-ადმირალი ალექსი.

სევასტოპოლი. ალექსანდრეს სადგურზე სკრიდლოვს გადასცეს პაკეტი, რომელშიაც იყო მე-4 ხარისხის გიორგის ჯვრის წყალობის წერილი და თვით ჯვარიც, რომელიც იმპერატრიცა ეკატერინე დიდს უბოძებია სეკუნდ-მაიორ ვასილი ნეჩაევისათვის იმიტომ, რომ იმის ბატალიონს 1793 წ. მტრისთვის ორი ბატარეია წაურთმევია. ადმირალმა გაიკეთა ჯვარი, რომელიც ეხლანდელი ჯვრისგან ბევრით განსხვავდება.

კიშინევი. სასამართლო პალატამ გაამართლა აგეევი და ჩეკენი, რომელითაც ბრალდებოდათ ებრაელ კაინარსკის მოკვლა კიშინევში შარშან სააღდგომოდ უწესოების დროს ბრაელთა წინააღმდეგ.

ელისავეტოპოლი, 19 აპრილს, როცა სადგურ ალაბაშლითზე მოვიდა მატარებელი № 221 ვაგონით, გადმოვარდა ლიანდაგიდან ორი ორთქლმავალი და 16 დატვართული ნავთის ქვაბი. დაიწვა ორი ორთქლ-მავალი და 14 ქვაბი. დაიწვა კონდუქტორი სამაკაშვილი და ძრიელ დაშავდა მოწაფე თუმანოვი. გზა გაფუჭებულია; მიზეზს იკვლევენ.

პორტ-არტური. 21 აპრილი, 8 საათსა და 40 წამს დილით (საკუთ. კორესპ.). პორდარ-ტურის მიდამოებში ცვლილება არ არის. «ნოვი კრაის» სწერენ: არა სძინავთ დაუძინებელ მტერთ რუსებისას, რომელთაც ვიცე კოროლი იუნშიკაი, გენერალი მა და იმათი მომხრენი მეთაურობენ, სასახლეში ვერას გახდნენ, ამიტომ არ მოისვენეს და ჩინეთის ყველა ქალაქებსა, სოფლებსა, ბაზრებსა და მოედნებზედ ქადაგებენ რუსეთის წინააღმდეგ. აქა-იქ მოგზაურნი ორატორნი ზღაპრებს უამბობენ ხალხს იაპონელთა გამარჯვებისა და ძალისას და აგრეთვე იმას, რომ რუსებს ჩინეთის შესახებ ბოროტი განზრახვანი აქვთო. ამრიგად ხალხს ჩვენ წინააღმდეგ აღელვებენო».

ბლაღოვეშჩენსკი. 20 აპრილს ხაბაროვსკიდან გავიდა ამურზე პირველი საფოსტო გემი. ჩვეულებრივი საფოსტო გემების მისვლა-მოსვლა 1 მაისიდან დაიწყება.

ლონდონი. სპეციალი კორესპონდენტი «რეიტერის სააგენტოსი», რომელიც იაპონიის უმთავრეს ლაშქარშია, აღწერავს რა იალუსთან ბრძოლის ამბავსა, ამბობს, რუსის ცარი 10,000-დე იქნებოდაო.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, თვისის წესდების 91 §-ის ძალით, აუწყებს ზემოხსენებულ ბანკის ბ-ნთ რწმუნებულთ, რომ ამა წლის 18 მაისისათვის, დილის 10 საათზედ, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისში, დანიშნულია

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1903 წ. საოპერაციო წლის განმავლობაში და ზოგადი მის შესახები მოხსენება.

2) მოხსენება იმისი, თუ რა მდგომარეობაშია ბანკის სადავო საქმეები სასამართლოებში.

3) მოხსენება იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ბანკის დარჩა.

4) მოხსენება ბანკის მოხელეთათვის დამზოგველ-შემწევნელ კასის შესახებ.

5) მოხსენება ბანკში დასაგირავებლად წარმოდგენილ მამულების დასაფასებელ ინსტრუქციის შეცვლისა და დამატებისათვის.

6) მოხსენება ზედამხედველ კომიტეტის რეორგანიზაციისათვის.

7) ბანკის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1904 წლ.

8) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, იმათ მაგიერ, რომელნიც რიგით თავს ანებებენ სამსახურს: გამგეობის წევრის ა. ნ. ფურცელაძისა და დამფასებელ კომისიის წევრთა: თ-დ გ. ს. ციციშვილისა და თ-დ გ. ი. რატიშვილის მაგიერ; აგრედვე არჩევანი ერთის კანდიდატისა გამგეობის წევრისათვის და ორის კანდიდატისა დამფასებელ კომისიის წევრთათვის. (3—3

70% ეკონომია 70%

უკანასკნელ დროის კონკურენციისა და საწყობში დიდ-ძალ დამხადებულ საქონლის გამო და აგრეთვე ფირმის გასაძლიერებლად, იძულებულნი ვართ დაუთმოთ ძალიან დაკლებულ ფასად.

მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით

ქვემოთ-ჩამოთვლილი სასარგებლო და ფასიანი 8 ნივთი. 1) **საათი** გაშავებულ ფოლადისა კაცისა ანუ ქალის ანუ კაცისა დაფერილი ოქროთი (გატარებული ცეცხლში) ძალიან მშვენიერია, მაგარი მექანიზმით და 6 წლის ბულლავანობით. 2) **ძეწკვი ახალი ოქროსი** პრტყელი (პანცირისა) ანუ მოკლე ნიკელისა ან ქალისთვის ყელისა ახალი ოქროსი. 3) **ბრელოკი** ახალი ოქროსი, «კომპასი» ანუ სხვა. 4) **მეშის ქისა** საათის შესანახად. 5) ჯიბის ელექტრონული ფარანი, რომელიც იძლევა ძლიერ სინათლეს ანუ **ბეჭედი ოქროსი 56 დამღისა** ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზედ ჩამოსაკიდებელი. 6) **კალმის დანა** საუცხოვო საზღვარ-გარეთის ფოლადისა ან **მუშტუკ-აპარატი** უვნებელ წევისათვის ან შეფერილი მაკრატელი. 7) ტყავის ქისა ერთი სახურავით და 7 განყოფილებით, მექანიკურ საკეტით და მყიდველის სახელის, მამის სახელის და გვარის ბეჭედით. 8) **ქისა** საზღვარ-გარეთის ტყავისა მისალოც ბარათებისთვის, ქაღალდებისთვის და საბუთის წერილებისათვის ან წყვილი საყურე ოქროსი 56 დამღისა ქვებით. ყველა ამას ვგზავნით მუქთ საჩუქრათ უბეოდ ფას დადებით მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით. თავ-სახურავიანი საათი დამატებით, 1 მან. და 50 კაპეიკით მეტი ღირს.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით:
Главному Складу Часовъ Торговаго Дома.
Ш. Якобсонъ въ Варшавѣ, Тверская, $^{32}/_{350}$

აზიის რუსეთსა და ციმბირში უბეოდ არ გაეგზავნებათ და გადახდებათ აგრეთვე ნაწილი გასაგზავნ ხარჯისა.

პრეისკურანტი უფასოდ.
(3—6—1)

როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარადის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНІАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—21)

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

მირითადა თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—28)

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი.

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

„ნადეჟდა“-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

11 აპრილიდან გადატანილ იქნება

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ექზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—3)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპირფარეშო სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

Дозволено цензурою Тифлисъ 21 апрѣля 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.